

კავშირი ემოციურ ინტელექტსა და შფოთვის შორის

მარიამ ჯანჯღავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯანჯღავა, 06.07.2015.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილული და შედარებულია ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართება შფოთვისთან. მაღალი შფოთვა შფოთვითი აშლილობების განვითარების რისკ-ფაქტორია. ამიტომ საინტერესოა, რა მაჩვენებელია ამ მხრივ ახალგაზრდებში და არის თუ არა მაღალი ემოციური ინტელექტი დაბალი შფოთვის პრედიქტორი. კვლევაში გამოყენებულია სპილბერგერის შფოთვის და პეტრიდესის ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარები. ორივე მათგანი არის პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი. ფსიქოლოგიაში არსებობს რამდენიმე თეორიული მოდელი და კითხვარი, რომლებიც ემოციურ ინტელექტს შეისწავლის. მათგან უახლესი და ქართულად ადაპტირებულია პეტრიდესის კითხვარი. ეს კითხვარი მოიცავს 15 სკალას და 4 ფაქტორს. ეს სკალებია: ემოციების გამოხატვა, ემპათია, მოტივაცია, ემოციების რეგულაცია, ბედნიერება, სოციალური ცნობიერება, იმპულსურობა, ემოციების აღქმა, თვით-შეფასება, ასერტულობა, ემოციების მართვა, ოპტიმიზმი, ურთიერთობები, ადაპტაცია, სტრესის მართვა. ოთხი ფაქტორი: კარგად ყოფნა, სოციალურობა, თვითკონტროლი. ემოციურობა. აღსანიშნავია, რომ ემოციური ინტელექტის საკვლევი კითხვარი უახლოეს წარსულში შემოგვთავაზეს, ამიტომ კვლევები ამ კუთხით ძალიან აქტუალურია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 89 სტუდენტმა, რომელთა საშუალო ასაკი იყო 22 წელი. აქედან სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოვიყენე 75 მონაცემი. (მხოლოდ ის ცდის პირები, რომელთა შფოთვა იყო საშუალო ან მაღალი). კვლევას ჰქონდა ორი ძირითადი მნიშვნელობა: 1. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პიროვნული შფოთვა მაღალ ნეგატიურ კორელაციაშია ემოციური ინტელექტის, როგორც გლობალური მაჩვენებლის, ისე მისი ცალკეული ფაქტორების მიმართ. 2. გამოკითხულთა შორის შფოთვის საშუალო მაჩვენებლად დაფიქსირდა საშუალო პიროვნული შფოთვის ზედა ზღვარი (45 ქულა).

ამ შედეგების ახსნა შეიძლება ემოციური ინტელექტის ცალკეული ფაქტორების ინტერპრეტაციით.